



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 446047 07/03 2013 წ.

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

პროექტის მენეჯერს

ბატონ გია გვილაგას

ბატონო გია,

თქვენი 2013 წლის 21 თებერვლის N03-1427 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზოგიერთი საკადრო საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის N39 ბრძანების მიღება განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

ა) სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობდა ძირეული ცვლილებები. მათ შორის, გაუქმდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (ე.წ. „სოდ-ი“), აღნიშნული დანაყოფის ფუნქცია-მოვალეობები და საშტატო რიცხოვნობა გადაეცა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს. სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში არსებობდა გამომძიებლის, ინსპექტორ-გამომძიებლის და უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობები, რაც ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივ-გამომძიებლის ფუნქცია-მოვალეობებისგან. ამასთან, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისგან განსხვავებით აუცილებელი არ იყო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ან სპეციალური გადამზადების კურსების გავლა. აღნიშნული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების და სპეციალური გადამზადების კურსების გავლა მოითხოვდა გარკვეულ დროს და საშტატო რიცხოვნობის შევსების კუთხით ქმნიდა მნიშვნელოვან საკადრო პრობლემებს.

ბ) მიმდინარე წელს გაფართოვდა პატრულირების ზონები, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაემატა დამატებითი გამლიერებული ეკიპაჟები და დაკომპლექტდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების პირადი შემადგენლობა (დეტექტივები და უზნის ინსპექტორები). აღნიშნული გამოწვევები საჭიროებდა გადაუდებელი და ქმედითი



ზომების მიღებას და პირველ რიგში საკადრო კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებას.

გ) ზემოთ აღნიშნული ბრძანების გამოცემის პარალელურად, სამინისტრომ ჩაატარა ტესტირება, რომელიც შეეხო სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მათ შორის, ხელმძღვანელ პირებს (საქალაქო და რაიონული სამმართველოების უფროსების ჩათვლით). ტესტირების მიზანი იყო სწორედ სამინისტროს მოსამსახურეთა ცოდნის, კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების და მომზადების დონის შეფასება, რომლის ანალიზის საფუძველზე უკვე იგეგმება სამინისტროს ცალკეული მოსამსახურეების ინტენსიური გადამზადება მათი ცოდნის დონის და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის N39 ბრძანება არ ეწინააღმდეგება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მარეგულირებელ არცერთ სამართლებრივ აქტს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის N988 ბრძანების (რომლითაც დადგენილია სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების და სპეციალური გადამზადების კურსების გავლა) მე-6 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების და სპეციალური გადამზადების კურსების გავლის გარეშე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და ოპერატიული ქვედანაყოფების მოსამსახურეების თანამდებობებზე დანიშვნას მხოლოდ იმ პირობით, თუ აღნიშნული პირები თანამდებობაზე დანიშნიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში გაივლიან აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებს ან/და სპეციალური გადამზადების კურსებს. ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის N39 ბრძანება სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და მისი გამოცემით არ არის დარღვეული სამინისტროს სისტემაში საკადრო საკითხების მარეგულირებელი არც ერთი დებულება.

პატივისცემით,



ხათუნა ქველაძე

ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროს უფროსი